# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 7. კვირა, 23 სექტემბერი, 1901 წ. გაზეთის № 1590.


# ვაი გულისაგან

IV

სოფელ №-ის სკოლაში დიდი ხანია მასწავლებლობს ჭალარა ივანიკა. ახალგაზდობამ მისი თითქმის არაფერი იცის, გარდა იმისა, რომ იგი „გულკეთილი ივანიკაა“ დ რომ ცოლშვილი არა ჰყავს, „მგონია“ არც ჰყოლია როდისმე. მხოლოდ გაუგონიათ, რომ ივანიკას ოდესმე რაღაცა „ძლიერ საინტერესო ისტორია“ ჰქონია. ძველმა თაობამ იცის კიდეც ეს „ისტორია“, მაგრამ არ ლაპარაკობს ამაზე, თითქოს უნდა დაივიწყოს, თითქოს ენანება, რომ ამისთანა პატიოსან ადამიანს იმგვარი სამარცხვინო წარსული აქვს.



**იმპერატორი ალექსანდრე პირველი,**
რომლის მეფობის დროს მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთება.

ცხოვრობს ივანიკა თავისთვის, მარტოკა, უტოლ-უმეგობროდ და შეუმჩნევლად. ბედნიერის და დალხინებულისთვის იგი არ არსებობს, რადგანაც არაფერი აქვს მასთან საერთო; და არც მისთვის არსებობს ბედნიერი, რადგანაც ნაკლებად ფიქრობს მაზე. ხოლო თუ სადმე გაჭირვებული გაჩნდა, ივანიკაც იქ გაჩნდება და უკანასკნელ ძალ-ღონეს არ დაზოგავს, რომ ხელი გაუმართოს, მაგრამ მოიდგამს თუ არა გაჭირვებული სულს—და ივანიკა ისე შეუმჩნევლად ჩამოეხსნება, როგორც შეუმჩნევლადვე მოვიდა საშველად, თითქოს არასოდეს არაფერი საქმე არ ჰქონოდეს მასთან. არ სურს ვისმე დაამადლოს ამაგი და არც თვითონ დაიმადლიებს სხვისგან. მისგან წყენა არავის ახსოვს და მასაც არავინ აწყენინებს, რადგანაც მოთმინებიდან ვერ გამოიყვანს. მაგრამ არის საგანი, რომელშიაც ივანიკამ არ იცის მოთმინება, და ეს საგანი მისი თავგადასავალია. არასოდეს არავისთან სიტყვას არ ჩამოავდებს ივანიკა თავის წარსულზე და თუ ვინმე მაინც და მაინც ჰკითხავს, შეკრთება, თითქოს ბუზმა უკბინა ცხვირზეო, საცოდავად დაიღრიჯება, ერთს მძიმედ ამოიქშენს, ფიცხლავ აიღებს ქუდს და ჯოხს, „უკაცრავად, არა მცალიანო“ —მოიბოდიშებს და ცოცხალ-მკვდარი მოშორდება გაუფრთხილებელ ცნობის-მოყვარეს.

ოცი წელიწადია, რაც ივანიკამ დიდის შრომით და ვაივაგლახით სკოლა დააარსა ამ სოფელში, თვითონ დადგა მასწავლებლად და სინიდისიერად ემსახურება თავის წმინდა მოვალეობას. როგორც შრომის მოყვარე და სამაგალითო მასწავლებელს, ბევრჯელ მოუნდომა მთავრობამ სხვა უკეთეს ადგილზედ გადაყვანა, მაგრამ ივანიკა ცივ უარზე დგას გადასვლის შესახებ. „თუ გადაყვანა ჯილდოა, —ეუბნება იგი მთავრობას, —ნება მიბოძეთ არ მივიღო ეს ჯილდო და თუ დასჯაა, მე თავს დავანებებ სამსახურს, მაგრამ სხვაგან კი ვერ გადავალ.“ მთავრობას ეს უარი „კაპრიზი“ ჰგონია და იძულებულია დაუთმოს ივანიკას. რა აკავშირებს ივანიკას ამ სოფელთან ასე მტკიცედ — ეს უმრავლესობისთვის დაფარული საიდუმლოებაა.

ლხინი და დროს უქმად ტარება ივანიკამ არ იცის. არავის უნახავს შეზარხოშებული; ან ნადიმ-ქორწილებზე მიმავალი, ან უდარდელად მოცინარე. მის საუკეთესო თავ-შესაქცევარს შეადგენს წიგნის კითხვა საყდრის სასაფლაოზედ, რომელიც ოციოდე ნაბიჯზეა მისი სკოლიდან. თუ ამინდი ცოტათი მაინც შეძლებას აძლევს, ყოველ საღამოს გამოდის ივანიკა წიგნიანად სასაფლაოს ერთ კუთხეში, მივა ერთ საფლავთან, მიიხედ-მოიხედავს, ხომ არავინ მიყურებსო, დაიჩოქებს, რამდენიმეჯერ მოწიწებით აკოცებს საფლავის ლოდს და დაღვრემილი ჩამოჯდება იქვე. სჩანს, დიდი ხნისაა ეს საფლავი. ზედმდებარე ლოდი ჟამთა დენისაგან დახავსებულა და რამდენსამე ადგილას ჩამოტკეცილა, მაგრამ მაინც გარკვევით აჩნევია ზედ წარწერა: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“ (სახ. ლუკ. XXIII, 34). თითქოს ვიღაცა ძლიერ დამნაშავეა მიცვალებულის წინაშე და ის მაცხოვარის სიტყვებით ევედრება ღმერთს ყველასადმი პატივებას, უვიცობის შენდობას.

ერთი მხრით, საფლავის თავთან ვიღაცას მზრუნველ ხელებით დარგული ორი ახალგაზდა ცაცხვი მჭიდროდ მიჰხუტებია ერთმანეთს, როგორც საყვარელი მეგობრები, და დაბლა ჩამოშვებული ტოტებით თითქოს აცალკევებენ ამ პაწია სავანეს ვეებერთელა ქვეყნიერებისგან; მეორე მხრით ვარდები და სხვა-და-სხვა ჯიშის ყვავილები მთელ ბაღს შეადგენენ. ყვავილებ შუა ჩადგმულია გრძელი სკამი. აი ამ სკამზედ, ამ პაწაწინა, თავის საკუთარ ხელებით გაშენებულ ბაღში აღამებს ივანიკა ყოველ დღეს.

ღამდება. სოფელი იძინებს და ყუჩდება, დგება სამარისებრივი სიჩუმე. ნელ-ნელა მოცურავს მთვარე ცის სივრცეში და ოცნების ამშლელ სინათლესა ჰფენს ქვეყნიერებას.

დიდებული სურათი ეშლება ადამიანს თვალ-წინ. ერთი მხრით ათი-თორმეტი ვერსის მანძილზე წამოგრაგნილა მწვანე მთები, რომელნიც შუაგულისკენ უფრო და უფრო მაღლდებიან და უკანასკნელი მათი საფეხური შორს, სადღაც თვალუწვდომელ სიმაღლეზე, იკარგება ცის სივრცეში მუდმივ ღრუბლების შუა. მეორე მხრით არის გაშმაგებული მდინარე ენგური, რომელსაც თეთრი საყდარი მხცოვანი მწყემსივით გადა-

სდგომია და თავ-დახრილი თითქოს ყურს უგდებს მის გამძვინვარებულ შფოთვას. მდინარის გაღმა გადაჭიმულა ვეებერთელა მინდორი, ყანებით და ეზოებით აჭრელებული.

ნება-უნებლივ იზიდავს ადამიანის თვალს ბუნების ეს ამაყი, მშვენიერი სანახაობა, გაკვირვებით და სიამოვნებით აჩ-

რადა გაჭამოთ მშივრებსა,
სისაწყლით დაჩაგრულებო?
ან რით უყიდო წამალი
თქვენს დედას საწყალ-სნეულს,
სიდატაკისგან უძლურთ

ჯან-ღონე გამოლეულს?—
სთქვა ეს თუ არა გოგიამ,
ლაბას დაეყრდნო თავია
და მოსჟდა ცრემლის ღვრით
ქვითინი გულ-საწვავია.

დ. მაჩხანელი.




ძველი დროიდამ. ქართველი მეომარნი ესკიზი გოგიაშვილისა.

რჩქოლებს მნახველის გულს. მაგრამ ივანიკას, პირ-იქით, გულს უსივებს, რადგანაც აგონებს შორეულ წარსულს, როდესაც იგი ახალგაზდა, ოცნება-იმედებით აღსავსე, მხიარული და ბედნიერი, ხან მარტოდ და ხან გულის მეგობართან ერთად სტკბებოდა ამავე სურათით, ამავე ადგილიდან. და ახლაც ამ წუთებში, ყველას და ყველაფერ გარშემოს მოწყვეტილი, ამ მეგობარზე ჰფიქრობს ივანიკა, მის მოგონებით სცოცხლობს. მის სახელს შესწირა ოცი წელიწადი და ახლაც მისი სახე თითქოს ცოცხალი უდგას თვალ წინ. აგონდება ყოველი მასთან გატარებული წუთი და ცრემლები მისდა შეუმჩნევლად ფრთხილად უცვივა კალთაში. „ოჰ, დაო ნინუცა!“—მწარედ ოხრავს ივანიკა და ისევ მიეცემა უნუგეშო ფიქრებს. დიახ, ივანიკა ნინუცაზე ფიქრობს, იმ ნინოზე, რომელსაც აღმერთებდა, რომელიც აქამდინ, ოცი წლის შემდეგაც, ვერ დაავიწყა ჟამთა ვითარებამ... რომელიც, აწ მტვრად ქცეული, საუკუნოდ განისვენებს ივანიკას წინ, ლოდ ქვეშ... და ეს საწყალი, ნახევრად განადირებული ივანიკაც ის ვანო არის, ვისიც სახელი მომაკვდავ ნინოს უკანასკნელ სიტყვებს შეადგენდა.

ზის ივანიკა საფლავის წინ, უხილავ წერტილს მიჩერებული და სულ-განაბული და ოცნებობს საბრალო ნინოზე, ვიდრე მამლის ხმა-მაღალი „ყიყლიყო“ შინ წასვლის დროს არ მოაგონებს.

მაღლა კი ამპარტავანად მოცურავს ფრთებ-გაშლილი მთვარე და ისე მშვიდად, ქალწულებრ მორცხვობით დაჰლიმის დედა-მიწას, თითქოს არც ერთხელ არ ყოფილიყოს უბედურთა გულ-ამოსკვნილი ქვითინის მოწამე.

ი. შ—მე.

(დასასრული)

გოგიას მწუხარება

ლაბავ, შვილივით გაზრდილო,
ქედ-დალოცვილო, ჭკვიანო,
უღელში დაბერებულო,
ერთგულო, ამაგიანო!
წუხელის მე და შენზედა
სიზმარი ვნახე ავია,
და აი მართლაც წყეული
დღე გაგვითენდა შავია:
უღმერთო მოვალეებმა
ჯოხით მიხეთქეს თავია
და მთლად წამართვეს, წაიღეს
პურის წითელი ხვავია;
წამართვეს კალოს პირიდამ
ბზეც—შენთვის შენახულია,
უსამართლობით მოკლულსა,
კიდევ მომიკლეს გულია.
ვაიმე, ჩემო პატარა
შვილებო, მოღუღუდებო,

# ნარევი და გასართობი

გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მეორე დიდი ენციკლოპედისტია. მან ყველაფერი იცის, ან ჰგონია, რომ იცის. სხვათა შორის გერმანიის იმპერატორს თავი მოაქვს იმითი, რომ იგი ცხენების დიდი მცნობია, რომ მის საჯინიბოში საუკეთესო ცხენებია. „აქ ყველგან პატრონის თვალი სჩანს“, ეუბნება ხშირად ვილჰელმი მეჯინიბეებს და თან მოჰყვება თვითოეულ ცხენის გენეალოგიას და მის სხვა-და-სხვა ღირსებას.

ამ რამდენისამე თვის წინად ვილჰელმის ბრძანებით იყიდეს ორმოცდა ათზე მეტი ცხენი, რომელნიც თვითონ დაეთვალიერებია. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ნაყიდი ცხენები ისეთები არ გამოდგნენ, როგორიც გერმანიის იმპერატორს ეგონა.



ხევსური წიქა



განცხრომა

ვილჰელმი მეტად გაცხარდა, უფრო კი იმიტომ, რომ სახელი ცხენების კარგის მცნობისა უტყდებოდა, და ბრძანა სამართალში მიეცათ ოცამდე მეჯინიბე. მაგრამ სასამართლომ არ სცნო ეს საქმე სამართლის საქმედ, რადგან არც კონსტიტუციის და არც სისხლის სამართლის კანონებით იმპერატორის სასახლის მოხელეები არ ითვლებიან სახელმწიფოს მოხელეებად. ესენი კერძო პირები არიან და ემსახურებიან კერძო პირებსვე.

ვილჰელმ მეორე იძულებული შეიქნა დაეთმო ეს საქმე ძ დამორჩილებოდა ლეიპციგის სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უმრავლესობა ხსენებულ სასამართლოს წევრებისა არიან სეპარატისტები, რომელთაც სძულთ პრუსია და რომელნიც დიდად უკმაყოფილონი არიან პრუსიის პირველობისა და ჰეგემონიისა გერმანიაში.

*
* *

შუა იტალიაში არსებობს უხსოვარის დროიდან ერთი პატარა რესპუბლიკა— სან-მარინო. სექტემბრის 2-სა და 3-ს ეს რესპუბლიკა დღესასწაულობდა 16 საუკუნის არსებობის იუბილეს. დამაარსებელი ამ „სახელმწიფოსი“, რომელშიაც ეხლა ცხრა ათასზე ცოტა მეტი სული ითვლება, იყო დალმატელი კალატოზი მარინუსი. ეს კალატოზი რომის იმპერატორის დიოკლეტიანეს დროს გამოიქცა დალმაციიდგან, სადაც მას სდევნიდნენ, როგორც ქრისტიანს, თავი შეაფარა ტიტანის მთას და დააარსა აქ ქრისტიანების სულ პატარა რესპუბლიკა, რომელიც მას აქეთ ჩვენ დრომდე დამოუკიდებელი და თავისუფალია. მარინუსი ჰქადაგებდა სახარებას და სასტიკად ჰკიცხავდა რომის იმპერატო-



ქურთი. ესკიზი

რებს მათ გარყვნილ ცხოვრებისათვის. მისცა მისგან დაარსებულ სახელმწიფოს სამართლიანი კანონები და ეხლა მარინუსს რომის დამაარსებელ რომულსავით ახსენებენ და პატივსა სცემენ. სან-მარინომ თვით რომის სახელმწიფოზე უფრო დიდხანს გასტანა და კიდევ დიდხანს იცოცხლებს. მარინუსის სიკვდილის დღედ მიჩნეულია 366 წლის 3 თუ 4 სექტემბერი. იგი წმიდანად არის აღიარებული და როცა მე-XVIII-ე საუკუნეში სასულიერო მთავრობამ (მცხოვრებნი კათოლიკები არიან) მოინდომა კალატოზ მარინუსის ძეგლის მაგიერ ღვთის მშობლის ძეგლის დადგმა ეკლესიაში, ხალხი აჯანყდა და ამისი ნება არავის მისცა.

სახელგანთქმული პოეტი იტალიისა კარდუჩი სან-მარინოს რესპუბლიკის საპატიო მოქალაქედ ითვლება და თავიც მოსწონს ამითი.

*
* *

იტალიაში მოგზაურნი ყოველთვის დიდის სიამოვნებით შეივლიან ხოლმე სან-მარინოს რესპუბლიკაში. ეს პატარა რესპუბლიკა სრულიად დამოუკიდებელია და 16 საუკუნეა არსებობს. არა ერთხელ მოუნდომებიათ მეზობლებს მისი დაპყრობა, მაგრამ ამაოდ: თავისუფლების მოყვარე და ამაყი ხალხი ხერხიანად სარგებლობს თავის მშვენიერ გეოგრაფიულ მდგომარეობით და მედგრად იცავს თავის პატარა სამშობლოს. ეს ერთად ერთი ნაწილია იტალიისა, რომელსაც არ შეჰხებია ნაპოლეონის ხელი. სულ რესპუბლიკაში 7000 მცხოვრებია, უმეტესობა—ღარიბი გლეხია. რესპუბლიკის ჯარი 40 კაცისაგან შესდგება. რესპუბლიკის ქალაქი სან-მარინო გაშენებულია მიუვალ კლდეზე და მშვენიერ ციხეს წარმოადგენს. რესპუბლიკაში თავისუფლად შეუძლია ცხოვრება ყველა უცხოელთ; პოლიტიკურ დამნაშავეთ რესპუბლიკა სიამოვნებით იღებს და მფარველობას უწევს. სტუმართმოყვარე და მშვიდობიან ხალხს ეჯავრება მხოლოდ იტალიური ავაზაკები, რომელთა წინააღმდეგ სასტიკ ღონისძიებათ ხმარობს ხოლმე...

## სურათების განმარტება

ამ ნომერში, სხვათა შორის, მკითხველი იპოვის ორ ესკიზს ჩვენის ახალგაზდა მხატვრებისას: ერთია „ძველი ქართველი მეომარნი“ ბ. გოგიაშვილისა, და მეორე—„ქურთი“ ბ. მომცელიძისა. ორივე სურათი თითქმის პირველი ცდაა ნიჭიერ ა ალგაზდებისა და, როგორც მკითხველიც ჰხედავს, საიმედო ცდაა. ბ. მომცელიძე მხატვრობაში განვითარებისათვის გერმანიაში აპირებს წასვლას; ხოლო ბ. გოგიაშვილი, სამწუხაროდ, ხელმოკლეობის გამო ვერსად ვერ წავა და იძულებულია ტფილისშივე ისწავლოს...

ვუსურვოთ ორთავე მხატვართ წარმატება და გამარჯვება ჩვენ თანამედროვე ღარიბ ხელოვნების გასამდიდრებლადა და განსავითარებლად.

**წიქა (გიორგი) ჭინჭარაული.** წიქა ჭინჭარაული მოწაფეა ბარისახოს, კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების, სკოლისა. ეს პატარა ხევსური-მოწაფე გვარიანი ტიპია ქართველური სილამაზისა და თან შესანიშნავი მხმარებელი შვილდ-ისრისა: თამამად ესვრის და ახვედრებს ორ კაპიკიანს თორმეტი საჟენის მანძილზედ.



ბ. მოფუენის შესავალთან წგიშა-აგდარში.

რედაქტორი: ალ. ჭუმბაია

გამომცემელი ალ. ჭაბადარი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Сентября, 1901 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.